



# ახალი ბანათლები

№22 (456) ბაზოფის 1998 წლიდან



## ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების განრიგი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების“ დებულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდის ჩატარების დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების განრიგი:

### ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩატარების განრიგი:

**2 და 3 ივლისი** (8:00 – პირველი სესია, 14:00 – მეორე სესია) – ქართული ენა და ლიტერატურა;

**6 და 7 ივლისი** (8:00 – პირველი სესია, 14:00 – მეორე სესია) – ზოგადი უნარები;

**8 ივლისი** (8:00 – პირველი სესია) – საგრანტო კონკურსი;

**9 ივლისი** (8:00 – პირველი სესია, 13:00 – მეორე სესია) და **10 ივლისი** (8:00 – პირველი სესია) – ინგლისური ენა;

**13 ივლისი** – ფრანგული ენა (8:00 – პირველი სესია), რუსული ენა (8:00 – პირველი სესია, 13:00 – მეორე სესია), გერმანული ენა (13:00 – მეორე სესია);

**14 ივლისი** (8:00 – პირველი სესია, 14:00 – მეორე სესია) – მათემატიკა;

**15 ივლისი** (8:00 – პირველი სესია) – საქართველოს ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები;

**16 ივლისი** (8:00 – პირველი სესია) – საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

**17 ივლისი** (8:00 – პირველი სესია) – ლიტერატურა.

### საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების განრიგი:

**8 ივლისი** (14:00 – მეორე სესია) – წაკითხულის გააზრება ანალიტიკური წერა;

**10 ივლისი** (13:00 – მეორე სესია) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა.

ბაკოს

საჯარო სკოლა - 80

გვერდი 2

მიხეილ ჯავახიშვილის

„ლაგალო და ყაჟას“

სწავლების ზოგადი

დებულების

გვერდი 3

ალექსანდრის

უნივერსიტეტის

გვერდი 5



ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

## ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 10 წლისაა!

www.sulakauri.ge

სახელმძღვანელოების შექმნის 10 წლიანი ტრადიცია,  
საუკეთესო სერვისი, უმაღლესი ხარისხი, კონკურსები და ფასდაკლებები.

აირჩიეთ ჩვენი გრიფირებული სახელმძღვანელოები და  
ისარგებლეთ უპრეცედენტო შემოთავაზებებით 2009-2010 სასწავლო წლისათვის:

განსაკუთრებული სერვისის რეგიონის სკოლებს — აირჩიეთ ჩვენი სახელმძღვანელოები, შეგვიკვებეთ და მიიღეთ სახალხო ბანკის უახლოეს ფილიალში.

შეიძინეთ სასკოლო სახელმძღვანელოები გამომცემლობის ოფისში, გადაიხადეთ სახალხო ბანკის პლასტიკური ბარათით და ისარგებლეთ 10%-იანი ფასდაკლებით ყოველ 100 ლარზე, 3% კი მიიღეთ საჩუქრად ბონუსის სახით.

პრემია „წლის საუკეთესო მასწავლებელი“ იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც 2009-2010 სასწავლო წლის განმავლობაში გამოიყენებენ ჩვენი გამომცემლობის სახელმძღვანელოებს.

ჩაერთეთ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა და ჯეოსელის ერთობლივ აქციაში, მიიღეთ 10%-იანი ფასდაკლება სახელმძღვანელოებზე და მოხვდით ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა და ჯეოსელის 10 რჩეულ სკოლას შორის.

მხოლოდ ჩვენს გამომცემლობაში: სახელმძღვანელოები 1 თვიანი უპროცენტო განვადებით. შეთავაზება სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის: 1000 ლარის არასასკოლო წიგნების შეძენისას საჩუქრად გადმოგეცემათ 500 ლარის წიგნები.



იაკობ გოგებაშვილი  
(განახლებული  
გამოცემა)



გ.კვანტალიანი



ნ.ხუნდაძე  
ე.ფოცხიშვილი



გ.ბერიშვილი  
ი.კოტეტიშვილი  
ბ.სულაკაური



ბ.სულაკაური  
მ. ბედომეილი  
თ.კუხიანიძე





# გამომცემლობა „აისი“ წარმოებიდან

## „დედაენა“ – I კლასი




იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შეადგინა ვალერიან რამიშვილმა, შეავსეს და გადაამუშავეს: **თამარ ლონდაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი და აკა მორჩილაძე**  
მხატვარი **ოთარ მეგრელიძე**

სახელმძღვანელო რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ და წარმატებით გაიარა პილოტირება საქართველოს სკოლებში 2005-2006 სასწავლო წელს. ნიგნი, ტრადიციულად, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:  
1. **წინასაანბნო ნაწილი** – სიუჟეტური ნახატები, ანუ ამბავთა ილუსტრაციები, წერილსათვის მოსამზადებელი ხელის გასავარჯიშებელი გამოსანერი ნიმუშები;  
2. **საანბნო ნაწილი** – თან ერთვის ენობრივ-

ლოგიკური სავარჯიშოები, რომლებიც სახალისო ფორმით მიეწოდება მოსწავლეებს;  
3. **ანბანსმედიუმში საკითხავი ნაწილი** – პოეზიისა და პროზის ნიმუშები, რასაც თან ერთვის ანდაზები, გამოცანები, ენის გასატყეხები, რებუსები.  
„დედაენის“ სამივე ნაწილი მოსწავლეზეა ორიენტირებული და ბავშვი აქტიურადაა ჩართული სწავლების პროცესში, მოსწავლე ახდენს მისი სწავლების სტიმულირებას აზროვნებითა და საქმით.  
ალტერნატიული მიდგომათა დადამუშავებული სახელმძღვანელო კვლავ გოგებაშვილის ანბანურ-სინთეზურ მეთოდს ეფუძნება. სახელმძღვანელო აგებულია თვალსაჩინოების პრინციპზე, რაც უფრო სახალისოსა და შემეცნებითს ხდის სწავლების პროცესს, ავითარებს ბავშვის ყურადღებას და აცხოველებს ინტერესს შესასწავლი ობიექტისადმი. როგორც ვალერიან რამიშვილი აღნიშნავდა: „კითხვისა და წერის ერთად სწავლების საკითხი „დედაენაში“ პრინციპული საკითხია და იაკობ გოგებაშვილის წერა-კითხვის სწავლების სისტემიდან გამომდინარეობს“. ავტორთა ჯგუფისთვის ამ სა-

კითხვით ამოსავალი იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებაა: „ქართულს კითხვასა და წერას შორის არსებობდა და არსებობს სრული ერთობა, წერა ხელს უწყობდა და უწყობს კითხვის შესწავლას და კითხვაც წერას ეხმარება“.  
თითოეული გვერდის ბოლოს მოთავსებული ბადე ეხმარება ბავშვს, დაეფულოს კალიგრაფიის გარკვეულ წეს-კანონებს.  
ქართულ ცნობიერებაზე დაფუძნებული „დედაენა“ საუკეთესო გამოხატულებათა, თუ როგორ შეიძლება ტრადიციული ეროვნული ფასეულობის თანამედროვე მოთხოვნებთან შეჯერება.  
სახელმძღვანელოს თან ახლავს მოსწავლის სამუშაო ნიგნი, რომელშიც თავმოყრილია სახალისო ენობრივი სავარჯიშოები და მოსწავლეს ეხმარება იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, რომელიც ამ ასაკის ბავშვს უნდა ჰქონდეს.  
სახელმძღვანელოსთან ერთად გამოცემულა მასწავლებლებს სთავაზობს დამხმარე ნიგნს (ავტორი ია აფთარაშვილი), რომელიც მოიცავს ყველა ტიპური გაკვეთილის აქტივობისა თუ სავარჯიშოს მეშვეობით სწავლების რეკომენდაციას, ინსტრუქციას, მითითებას.

## დედაენა – II კლასი




ავტორები: **ვალერიან რამიშვილი, თამარ ლონდაძე, თათია ცხადაია**  
მხატვარი **ოთარ მეგრელიძე**

სახელმძღვანელო წარმატებით გაიარა პილოტირება საქართველოს სკოლებში. შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სწავლების მიზნებსა და საგნობრივ პროგრამას. ავტორებმა გაითვალისწინეს ინდიკატორები, რომელთა მიხედ-

ვითაც ხდება კონკრეტული შედეგების მიღწევა: სტანდარტთან შესაბამისობა, პედაგოგიური გამართულობა და შინაარსობრივი საიმედოობა.  
სახელმძღვანელო ეყრდნობა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ რამიშვილისეულ სახელმძღვანელოს, რომელშიც ძალიან ბევრი რამ ახლებურადაა გააზრებული.  
სახელმძღვანელოში მოცემულია მთელი რიგი სავარჯიშოები (სიტყვის კიდობანი, კროსვორდები, ანდაზები, გამოცანები, ენის გასატყეხი, წინადადებების შედგენა, თხზულების წერა, მოთხრობის შედგენა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს აჩვენებს დამოუკიდებელ აზროვნებას, უფითარებს მეტყველებას და ასწავლის მართლწერის საკითხებს. სახელმძღვანელოში შეჯერებულია ენის გრამატიკული

ელემენტები და ლიტერატურული მასალა. ინტეგრირებულად, ბუნებრივი გზით, მოსწავლე მიღის ენის უფრო ღრმა შემეცნებისაკენ. რაც მთავარია, მოსწავლეებს იზიდავს ნიგნის ვიზუალური მხარე. სამყარო, რომელიც მერე რეკლასიკური „დედაენით“ შეიძინა მდიდარი, მრავალფეროვანი, საინტერესო და მათთვის ახლობელია.  
სახელმძღვანელოს ახლავს მოსწავლის სამუშაო და მასწავლებელთა დამხმარე ნიგნები. სამუშაო რეგულში ჩადებული მეთოდიკა მოსწავლეს შემდგომ კლასებში დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობისათვის შეამზადებს, ხოლო მასწავლებლის ნიგნი დაეხმარება პედაგოგებს, თითოეული გაკვეთილი შეუსაბამონ ეროვნულ სასწავლო მიზნებს.

## ქართული ენა – III კლასი




ავტორები: **თამარ ლონდაძე, თათია ცხადაია**  
მხატვარი **ოთარ მეგრელიძე**

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ყოველი გაკვეთილის მიზანი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტის შესატყვისია და შესაბამისად, ემსახურება მოსწავლეთა კითხვის, წერის, მოსმენის, მეტყველების უნარებისა და აზროვნების განვითარებას.  
სახელმძღვანელო დანერგულია თანამედროვე და გასაგები სალიტერატურო ენით და ხელს უწყობს მოსწავლის ეტაპობრივად მისვლას ახალ ცნებამდე, განსაზღვრებამდე. სა-

ხელმძღვანელოში წარმოდგენილი ინფორმაცია, შინაარსობრივად და მეთოდურად თვალსაზრისით, ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ყოველ პარაგრაფს ახლავს უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, კითხვები, სავარჯიშოები. წარმოდგენილი ილუსტრაციები საგანმანათლებლო მნიშვნელობისაა და აღქმადია. გარკვეული მასალის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები „განვლილი მასალის განმეორებით“ შესწავლილ მასალას განამტკიცებენ, მოცემული სავარჯიშოები კი საშუალებას აძლევთ მათ, მიიღონ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გამოცდილება (შეასრულონ დავალება, რომელიც არა მხოლოდ წერასა და კითხვას გულისხმობს). სახელმძღვანელო ხელს უწყობს ინფორმაციის სხვადასხვა გზით მოპოვების, ორგანიზების, შეფასების ინტერპრეტირების უნარ-ჩვევების განვითარებას და ითვალისწინებს ცოდნის ათვისების სამივე ფაზას: წვდომა, გაავარჯიშება, დაუფლება. სახელმძღვანელოში, ინფორმაციის მიწოდებას-

თან ერთად, ყურადღება ექცევა უნარ-ჩვევების განვითარებას, ღრმეზრუნველობის/დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.  
**მოსწავლის სამუშაო ნიგნი**, რომელიც თან ახლავს სახელმძღვანელოს, მართლწერისა და უნარების განვითარებას ემსახურება. **მასწავლებლის ნიგნი** – შემოთავაზებული გამოცემლობის მიერ – პედაგოგებს დაეხმარება წახალისოს მოსწავლე და უზიძვოს საკუთარ ქმედებათა თვითშეფასებისაკენ და მიღებული შედეგებით „სარგებლოს“ გაზრებისაკენ. მასწავლებლის ნიგნი ჩართული სტრატეგიები ეფუძნება ისეთ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო თეორიებს, როგორცაა შემეცნების თეორიები. წარმოდგენილი სტრატეგიების გამოყენებით პედაგოგი დაეხმარება მოზარდს კითხვის, წერის, მეტყველებისა და აზროვნების უნარების განვითარებაში და მუდმივად უზიძვებს, დაეჭვდეს შესასწავლ საკითხზე, რაც ხელს შეუწყობს მას „მკვლევარად“ ჩამოყალიბებაში.

## ქართული ენა – IV კლასი



ავტორები: **ვალერიან რამიშვილი, თამარ ლონდაძე, თათია ცხადაია**

IV კლასის ქართულის სახელმძღვანელო ლოგიკური გაგრძელებაა გამოცემლობა „აისი“ მიერ წარმოდგენილი ქართული ენის სახელმძღვანელოთა ციკლისა. სახელმძღვანელოში წარმატებით გაიარა პილოტირება და განათლების სამინისტროს მიერ მიენიჭა გრიფი. ნიგნი თავმოყრილია საინტერესო ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურული ნა-

წარმოებები – პოეზიისა და პროზის ნიმუშები – იგავ-არაკები, ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები. ამ მასალას ემის ენობრივი და ლოგიკური სავარჯიშოები თუ წერიტი სამუშაოები.  
ყოველ გაკვეთილს ახლავს ტექსტში შემავალი ლექსიკური ერთეულების განმარტებები. სახელმძღვანელოში გაერთიანებული მასალა, ვფიქრობთ, ისეა დამუშავებული, რომ მოსწავლეს გაუღვივოს სწავლისადმი ინტერესი და განუფითაროს ასაკის შესაბამისი უნარ-ჩვევები. ენის საკითხების შესწავლა ჩაფიქრებულია ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით. ავტორები მოსწავლეებს, პარალელურად, სთავაზობენ ლოგიკურ სავარ-

ჯიშოებსა და სხვადასხვა ტიპის წერით დავალებებს, რომლებიც ასევე იმისთვისაა გამოზრული, რომ მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა და პრაქტიკულად გამოიყენოს იგი.  
ნიგნს ასევე ახლავს სავარჯიშოთა კრებული – **მოსწავლის სამუშაო ნიგნი**, რომელშიც გაერთიანებულია სახალისო ენობრივ-ლოგიკური და წერიტი დავალებები.  
ახალ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ახალი ეროვნული გაკვეთილების სცენარები კი მოცემულია **მასწავლებლის ნიგნი** (წონა ლეშკაშელი, ნინო ჯაფარიძე), რომელიც გაუადვილებს მასწავლებლებს სახელმძღვანელოზე მუშაობას.

**გამომცემლობა „აისი“**  
თბილისი, გ. ჩუბინაშვილის №50  
ტელ.: 967542  
ელფოსტა: [aisi@access.sanet.ge](mailto:aisi@access.sanet.ge)







# ინტებრირებული გაკვეთილი ღია ცის ქვეშ

ადამიანი ვერ იქნება სრულყოფილი და სრულქმნილი, თუ პატარაობიდანვე არ ვაზიარეთ დედაბუნების მშვენიერებას, ფერთუთვალავი სამყაროს ხიბლს, არ ვასწავლეთ სილამაზით გატაცება და ტკბობა, რაც უფრო საინტერესოს, აზრიანს და მდიდარს ხდის მის ცხოვრებას, უღვიძებს ამაღლებულ, კეთილშობილურ გრძობებს და აზრებს, ალუძრავს დიდი საქმეებისა და გმირობისკენ სწრაფვას.

აღნიშნულ გარემოებას კარგად ითვალისწინებს ბათუმის მე-11 საჯარო სკოლის დანყებითი კლასების ღვანლმოსილი, შემოქმედი პედაგოგი **გულიკო მუჟაბაძე**. ახლახან, მასწავლებელ **ირმა ბანძავასთან** ერთად, მან ღია ცის ქვეშ – გონიოს ციხეზე – ჩაატარა ინტებრირებული გაკვეთილი (ბუნებისმცოდნეობა-ქართული ენა-მუსიკა).

ბავშვებმა ინტერესით დაათვალიერეს უბერებელი ციხე, მისი ქონგურები, უძველესი წყალგაყვანილობა, მაშინდელი აბანოს ნანგრევები და სხვა ღირსშესანიშნავი ობიექტები. მათთვის მეტად საინტერესო იყო იმის გაგება, რომ აფსაროს-გონიო ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საქართველოს მონუმენტურ ციხეთა შორის.

ციხე-ქალაქს ამკობდა იპოდრომი და თეატრი. ბავშვებმა ყურადღებით მოისმინეს გულიკო მასწავლებლის მონათხრობი გონიოს ციხის ისტორიის, ასევე ანდრია პირველწოდებულის შესახებ, რომელმაც აქ, მეტადრე დიდაჭარაში, 1 საუკუნეში, 300 წლით ადრე იქადაგა ქრისტეს მოძღვრება, ვიდრე მირიან მეფე ეკურთხებოდა წმინდა ნინოსაგან და აკურთხებდა ერს.



მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს აჭარაში ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველშემომტანის მატათას საფლავი. ფიცი დადეს, რომ ამრავლებენ წინაპართა ტრადიციებს, კარგი სწავლით და მამულიშვილობით ასახელებენ სამშობლოს.

გაკვეთილი ღია ცის ქვეშ მახუნცეთის ჩანჩქერთან გაგრძელდა. ბავშვები მოხიბლა მალლიდან გადმომდინარე ჩანჩქერმა, მშობლიური ბუნების ზღაპრულმა სილამაზემ, ცად ატყორცნილმა გოლიათმა მთებმა, მწვანე კორდებმა, ტყემ, ფრინველთა საამო ჟღერტულმა.

ბუნების მომაჯადოებელ ნიაღში მოსწავლეებმა გამართეს კონკურსი თემაზე: „ვინ უკეთ იცნობს მშობლიურ ბუნებას“.

ისინი აღწერდნენ ცას, მთას, მდინარეს, ტყეს, გორაკებს, ბორცვებს. წარმოთქვამდნენ ბუნებაზე ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს. ეძიებდნენ ისეთ სიტყვებს, რომლებითაც უფრო ზუსტად გადმოსცემდნენ თავიანთ გრძობებს, ცეკვავენ, მღეროდნენ...

მოსწავლეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა 800 წლის

წინ მდინარეზე ცისარტყელასავით გადებულმა თამარის თალოვანმა ხიბმა. პატარებმა, მასწავლებლებსა და მშობლებზე ხელიხელჩაჭიდებულებმა, გაიბინეს ხიდზე. მათ თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაიშალა. ცადატყორცნილი ნაძვის, სოჭის, მუხისა და ნაბლის ხეები საამურად შრიალებდნენ, თითქოს თავის დაკვრით ესალმებოდნენ პატარებს. ბუნების ნიაღში ისევ გაგრძელდა გაკვეთილი. ბავშვები კითხულობდნენ ბუნების წიგნს, პასუხობდნენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს, ტესტების საშუალებით შემომდმა პროგრამული მასალის ცოდნა. მოსწავლეებმა საფუძვლიანი მოზადება გამოამყვანეს. კარგად არკვევენ გაზაფხულზე ბუნებაში მომხდარ ცვლილებებს, მცენარეთა სახეებს, მათ შეფერილობას, ფოთლებს; იციან, როგორ ჩნდება ქარი, წვიმა, როგორი ფერის შეიძლება იყოს ღრუბელი, რა არის ღრუბლის ტირილი.

პატარები ასახელებდნენ სამკურნალო მცენარეებს, ყვავილებს, ყურადღებით აკვირდებოდნენ ხეებს და არკვევდნენ ფოთლოვან, წიწვოვან და ბუჩქოვან მცენარეებს. ქართულ ენაში შესწავლილი მასალა – „რატომ დამუწვდნენ ხეები“ – პედაგოგმა მოხერხებულად დაუკავშირა ბუნებისმცოდნეობის მასალას. ბავშვებმა ნათლად გააცნობიერეს და გაიაზრეს, რატომ ვერ გაიმეტა მოსაჭრელად გლეხმა ხეები. მასწავლებელი აღსაზრდელებს ესა-



უბრა მათ მოვალეობებზე, ბუნების დაცვის აუცილებლობაზე. შეასხენა, რომ არ შეიძლება კოცონის დანთება მცენარეებით დაფარულ ადგილას, არ შეიძლება ტყის გაჩეხვა. გაიხსენეს რევზ ლალიძის სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსა“. ერთი მოსწავლე გამომეტყველებით კითხულობდა ლექსს, დანარჩენები კი მასწავლებლებთან ერთად მღეროდნენ.

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირება შესწავლილი ნაწარმოებებიდან – „ცა და დედამიწა“ და „ყვავილების ნადიმი“.

ექსკურსიდან მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ ბავშვები. შეადგინეს თხზულება „დაუწინყარი დღე“.

პედაგოგის უპირველეს მიზანს – ბავშვების ბუნების ჭეშმარიტ მეგობრებად, სამყაროს სიცოცხლის ერთგულ დამცველებად, ღირსეულ მამულიშვილებად და დიდბუნებოვან ადამიანებად აღზრდას, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ეყრება საფუძველი, ფრთები ესხმება და პრაქტიკულად ხორციელდება.

მერი ხიშიაშვილი  
ბათუმის მე-11 საჯარო სკოლის  
დირექტორის მოადგილე  
სასწავლო-აღმზრდელობითი  
მუშაობის დარგში

ინო მჟონია  
პედაგოგი ინფორმაციული  
მენეჯერი



# მუხრან მაჭავარიანის პოეზიის საღამო

„მე საიდანაც ვარ, იქ ორი ერთმანეთის სანინაღმდეგო ხასიათის მდინარე დის: ერთია – დუმალა, მეორე – ყვირილა. ამიტომ მე, როგორც იქაურმა, დუმლიც მეტყველი ვიცი და ყვირილიც.“

– ლაპარაკი ვერცხლია, დუმლი – ოქრო! – ამბობენ ჩვენი ძველები. ჩემი ოქრო და ვერცხლი ჩემი სამშობლოა.

ყვერი – მისთვის ყვერი ვდუმვარ – მისთვის ვდუმვარ!  
მხოლოდ ჩემთვის ღმერთმა ნურც დამაყვიროს და ნურც დამადუმოს!“

მუხრან მაჭავარიანი, 1982 წლის 9 დეკემბერი.



მუხრან მაჭავარიანის პოეზიის საღამო 144-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – მანანა კიკაჩიშვილი) 28 მაისს მოუწყო. თბილისის 21-ე ბიბლიოთეკისა და 144-ე საჯარო სკოლის ერთობლივ პროექტზე პედაგოგები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მოსწავლეები დიდი ერთუზიანობით მუშაობდნენ. ბავშვებმა უკეთ გაიცნეს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, შეისწავლეს მისი ლექსები, მოამზადეს სლაიდ-შოუ ინტერნეტით მოპოვებული ფოტომასალით. სკოლაში მოეწყო ნახატების გამოფენა თემაზე: „საქართველო, გოლგოთაზე უფრო ციცაბოვ!“.

ლონისძიებს განსაკუთრებული ემზი და ლაზათი შემატა სკოლის ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრის მოსწავლეების მიერ (ხელმძღვანელი **მაია ტრაპაიძე**) ფანდურისა და სალამურის თანხლებით შესრულებულმა სიმღერებმა; ქორეოგრაფიული ანსამბლის „შავნაბადა“ გამოსვლამ.

შორენა ზარდიაშვილი, პროექტის ორგანიზატორი, 144-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში: „ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი საღამოე-



ბით შევძლებთ შევინარჩუნოთ ქართული სული და მოზარდ თაობას გავეუფლებთ ქართული პოეზიის სიყვარული. ამ ღონისძიებაში მთელი სკოლა მონაწილეობდა, IV-XI კლასის მოსწავლეები დიდი მონაწილეობით ემზადებოდნენ დღევანდელი საღამოსთვის. კიდევ მრავალ საინტერესო ღონისძიებას შემოგთავაზებთ მომავალში“.

ზეინაბ ზაქარიაშვილი, 21-ე ბიბლიოთეკის გამგე: „ბიბლიოთეკის სიცოცხლისუნარიანობა სწორედ მკითხველის აქტიურობასა და ახალ

თაობაზე დამოკიდებული. თუ ასე ეყვარებათ ჩვენს ბავშვებს ლექსი და პოეზია, ალბათ, ბიბლიოთეკასაც აღარავინ დახურავს“.

შეხვედრის დასასრულს, 144-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, **ეკარინა-ულმა** აღნიშნა, რომ სკოლის დირექცია მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლებს 21-ე ბიბლიოთეკასთან და არაერთ საინტერესო პროექტს შესთავაზებს მოსწავლეებს.

ძმთი ძმთაბაძი  
144-ე საჯარო სკოლის პედაგოგი





გამომცემლობა „ოცდამეერთე“

## სასკოლო სახელმძღვანელოები 2009/2010 წლისთვის ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებში

სახელმძღვანელოები შექმნილია ქართველი და უცხოელი ავტორების ერთობლივი მონაწილეობით, ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრები მოსწავლეების ეროვნულ, ფსიქოლოგიურ და ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესთა სფეროებს და იმ მიზნებს, რომელსაც ემსახურება უცხოური ენის შესწავლა საქართველოში.

ყველა სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილებია:

1. მოსწავლის წიგნი,
  2. სამუშაო რეეული,
  3. ტესტები (მე-5 კლასიდან ზევით) აუდიოკასეტა ან CD
- მასწავლებლის წიგნი

100 ლარის ზევით ერთჯერადი შესყიდვის შემთხვევაში გათვალისწინებულია შეღავათები 10%.

მასწავლებლის წიგნი – მომართვით სკოლიდან – უფასოა.

### ინგლისური ენა



დაწყებითი სკოლისთვის, სწავლების I და II წლები (III-IV კლასები), "Setting Out" (BOOK 1 - მე-3 კლასი და BOOK 2 დონე და 2) ავტორები: ტატიანა ბუკია, ბარი უოტსონი

"Setting Out" 3, 4 დონეები შეიქმნება შესაბამისად მომავალ და მის შემდგომ სასწავლო წელს.



X (დონე ს-5), XI, XII კლასები, სწავლების VI-VIII წლები, "New Wave". ავტორები: ლია გოქსაძე და თამარ ფალავა (კონსულტანტი პროფანეთის საბჭო)

საბავშვო/სამშალო სკოლის დამწყებთათვის, როგორც II/III უცხო ენა. დონე ს-1 - "Get Going!" ავტორები: ტატიანა ბუკია და პატრიცია პოლი



V-VI კლასებისთვის, სწავლების I და II წლები - "2000 Plus". ავტორები: ტატიანა ბუკია და ირინა ჩიბურდანიძე (კონსულტანტი ბარი უოტსონი)



VII (დონე ს-2), VIII, IX კლასები, სწავლების III-V წლები, "New 2000 Plus". ავტორები: ტატიანა ბუკია და ირინა ჩიბურდანიძე (კონსულტანტი ბარი უოტსონი)

Setting Out (დაწყებითი სკოლისთვის)	შასაბი (ლარებში)	2000 Plus, New 2000 Plus, New Wave, Get Going!	შასაბი (ლარებში)
მოსწავლის წიგნი	6.10	მოსწავლის წიგნი	8.30
სამუშაო რეეული	3.10	სამუშაო რეეული	3.10
		ტესტები	1.90

ყველა წიგნის აუდიოკასეტის ფასია 2.70 ლარი; CD – 2.00 ლარი; მასწავლებლის წიგნი – 3.10 ლარი.

### სად შეიძლება ყიდვა

- ზემოაღნიშნული საცალო ფასები უზრუნველყოფილი იქნება თბილისის 2 საჯარო წერტილში:
1. თბილისი, ვაგზლის მოედანი 2, მინისტრეშა საჯარო ცენტრი "ოქროს ბირეა", წიგნის მაღაზია "თბილისელები". ☎ 899 27 66 99, 899 79 49 39
  2. თბილისი, (გადასასვლელ ხიდთან) ცოტნე დადიანის 43, სასკოლო სახელმძღვანელოების მაღაზია. შპს "პრიმავერა ჯორჯია". ☎ (832) 96 62 38, 899 17 63 07

შენიშვნა: სწავლის დაწყებამდე ჩვენი გამომცემლობის ვებგვერდზე [bukia21st.ge](http://bukia21st.ge) განათავსებთ მისამართებს მთელი საქართველოს მასშტაბით, სადაც შეგიძლება წიგნების შეძენა შედარებით შეღავათიან ფასებში.

დაგვიკავშირდით – გაგიწევთ კონსულტაციას დაწერეთ წერილები განკუთვნილ ადგილზე, დაგვისწავთ შეკითხვები წიგნებთან მუშაობის მეთოდოლოგიაზე ან სხვა. სახელმძღვანელოს ავტორი ვიპასუხებთ. ვებ გვერდი: [bukia21st.ge](http://bukia21st.ge) ელ. ფოსტა: [tatbukia@yahoo.co.uk](mailto:tatbukia@yahoo.co.uk) ცხელი ხაზი, ტელეფონები: (8 32) 103-205; მობ. 877.74.21.46 დარეკეთ 9 დან 18 საათამდე.

### რუსული ენა



"Мостик в Россию" რუსული ენა დამწყებთათვის (მე-3 კლასი და დ-2). ავტორები: მარინა ბარსეგოვა და სვეტლანა ბოლდაკოვა.

Мостик в Россию	შასაბი (ლარებში)
მოსწავლის წიგნი	4.80
სამუშაო რეეული	2.50



"Мост в Россию" დონე ს-2 (მე-7), მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასები ავტორი: სვეტლანა ბოლდაკოვა

"Мост в Россию"	შასაბი (ლარებში)
მოსწავლის წიგნი	6.00
სამუშაო რეეული	2.00
ტესტები	1.90

### გერმანული ენა



"Natürlich Deutsch" დონეები ს-2, ს-3, ს-4, ს-5 (მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასები). ავტორები: ლიანა ჯალალონია და თეა ჯაშიაშვილი. რედაქტორი: მარგრეტ ვეგმანი

"Natürlich Deutsch" IX, X, XI კლ ს-2, ს-3, ს-4 დონეები	შასაბი (ლარებში)	"Natürlich Deutsch" XII კლ ს-5 დონე	შასაბი (ლარებში)
მოსწავლის წიგნი	6.70	მოსწავლის წიგნი	8.30
სამუშაო რეეული	2.50	სამუშაო რეეული	3.10
ტესტები	1.60	ტესტები	1.90

### ფრანგული ენა



"Bonne Chance" - დონე ს-2 ავტორები: ელენე კოლაძე, იზა ვინჯიხაძე. რედაქტორი: ფან ბატიუ.

"Bonne Chance" მე-11 კლასისთვის, ავტორები: ელენე კოლაძე, ნადეჟ პეშე, ტომა რომერ

Bonne Chance	შასაბი (ლარებში)
მოსწავლის წიგნი	9.40
სამუშაო რეეული	3.10
ტესტები	1.90

# „ერთად გადავარჩინოთ ბუნება, ხალხი“

ვაშლივის საბაზო სკოლა (დირექტორი – ქეთინო ლურსმანაშვილი) მრავალი ინიციატივის ავტორია. 2002 წლიდან პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებდა სამაჩაბლოს სკოლებთან (ერგნეთი, თამარაშენი, აჩაბეთი). აგვისტოს ომმა დიდი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა მათ. გვინდოდა რაღაცით შეგვემსუბუქებინა ეს მძიმე ტკივილები და განცდები.

საახალწლოდ ჩავედით გორის რაიონის სოფელ შავშევებში, სადაც ცხოვრობენ სამაჩაბლოს, კერძოდ სოფელ ერედვის ლტოლვილები. ჩავეტანეთ სურსათი, ფასიანი საჩუქრები. იქ ერთად ცხოვრობენ ოსი და ქართველი ლტოლვილები. დავმორდით იმედით, რომ ხშირად მივაკითხავდით.

სკოლამ მუშაობა დაიწყო პროექტზე – „ერთად გადავარჩინოთ ბუნება, ხალხი“. მოვუწოდეთ ჩვენი რაიონის (ხარაგაული) სკოლებს, ჩართულიყვნენ ამ პროექტში.

პროექტის ფარგლებში ერთ-ერთი ღონისძიება მოეწყო სააღდგომოდ, რომელშიც, ჩვენთან ერთად, უბისის საბაზო სკოლის (დირექტორი – მარინა სახვაძე) მოსწავლეებმა და მასწავლებლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ვენვეით შავშევების ლტოლვილებს (გორი). ამჯერად მოსახლეობის მიერ შეგროვილი კვერცხები, სურსათი და ნერგები ჩავეტანეთ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთობლივად დავრგეთ ნერგები. გაივლის წლები და ჩვენი მოსწავლეების ხელით დარგული ხეები ძნელბედობის დროს განუვლი თანადგომის მოგონებად



დარჩება. ჩვენი პროექტი „ერთად გადავარჩინოთ ბუნება, ხალხი“ გრძელდება. საქართველოს ყველა სკოლას მოვუწოდებთ, მონაწილეობა მიიღონ მასში. ოქტომბერში დავეგმილი გვაქვს, მოვიწვიოთ სტუმრად შავშევების ლტოლვილი მოსწავლეები. გავაცნოთ ჩვენი ლამა-



ზი კუთხე და იმერული სტუმართმოყვარეობით საინტერესო და ლამაზი გავხადოთ მათი ცხოვრება.

**ვენერა ჩადუნელი**  
პროექტის ავტორი,  
ვაშლივის საბაზო სკოლის პედაგოგი

## საბამოფენო კვირეული „ერთა ბაზა“



1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ თარიღს მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ და განსაკუთრებული მზრუნველობით გამოხატავენ სიყვარულს ბავშვების მიმართ. 1 ივნისს საქართველოში სხვა დატვირთვაც აქვს. ამ დღეს შემოვიდა წმინდა ნინო და მოგვიტანა „სანატრელი ვაზის ჯვარი“. თბილისის მე-12 საჯარო სკოლაში სწორედ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს დაუკავშირა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენა გახსნა სკოლის დირექტორმა, **მანანა გორგასლიძემ**. მან მოსწავლეებს მიულოცა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში და საგანგებოდ აღნიშნა, რომ დაიწყო საგამოფენო კვირეული, რომელშიც მონაწილეობენ მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები.

ნამუშევრების დათვალიერება მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა. მსმენელთა წინაშე წარდგა მე-12 კლასის მოსწავლის **ნუცა მინდიაშვილი**.

საგამოფენო დარბაზის კედლები დაეთმო ფერწერულ და გრაფიკულ ტილოებს. ყურადღებას იპყრობდა VIII კლასის მოსწავლის, **მარიამ კენჭხაძის** ფერთა სამყარო: ნატურმორტი, პორტრეტი, კომპოზიცია. მარიამის ნახატები ორიგინალური აზროვნებით და დახვეწილი სტილით გამოირჩევა. **გიორგი და ლუკა ყორანაშვილების** ნამუშევრების გვერდით წარმოდგენილი იყო მათი მამის – **მერაბ ყორანაშვილის** ფერწერული და გრაფიკული ტილოები.

საინტერესო იყო VI კლასის მოსწავლეების – **ქეთი და გვანცა მაისურაძეების** პორტრეტების სამყარო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბავშვები ხელოვანი ქალბატონის –

**თამარ ტაბატაძის** შვილები არიან. ქალბატონმა თამარმა წარმოადგინა ქანდაკება „გოგონა ქარში“.

გალერეა დაამშვენა VII კლასელი **ბექა ჯანაშვილის**, **ალექსანდრე ტაბახმელაშვილის**, **სოფიო სანიშვილის**, **დავით ქირიას**, **გიორგი შონიას** ნამუშევრებმა: „ცხენები“, „ნისქილი“ და ნატურმორტები.

VI კლასის მოსწავლე **სანდრო მუსერიძე**, მეორე წელია, სწავლობს ჭედურობის ხელოვნებას და საოცარი ნარმატებები აქვს. მან წარმოადგინა ქართული ორნამენტები, ჯვრები, ფარ-ხმალი, ძველი თბილისი. საუკეთესო იყო **ლამა მოსემვილისა** და **სლავა ივანოვის** ნამუშევრები, ფრაგმენტები ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან და „გრიფონი“.

საგანგებოდ შექმნილ საგამოფენო მაგიდაზე თავს „ინონებდენენ“ ნაჭრის თოჯინები, თექის ქუდები (ავტორები: **მაიკო გოგოლაური**, **ანა და მარი მურადაშვილები**), ფარდავები, მძივები, საყურეები და საოცარი „ნატურის ხე“.

გამოფენას არც ჰერბარიუმის პეპლები და ყვავილები დაჰკლებია.

ცალკე სივრცე აითვისა ნაქარგებმა, რომელიც შესრულებული იყო სახვითი ხელოვნების პედაგოგის, **ქეთევან კამკამაძის** მიერ, ასევე, პედაგოგ **ნათია ქიშიშაურის** ნამუშევრებმა. წარმოდგენილ იქნა ფრაგმენტი ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, **ლია ხომერიკის** ხელით შექმნილი გოგონას კაბა.

გამოფენას ორგანიზება გაუკეთა სკოლის დირექტორმა და ესთეტიკისა და სახვითი ხელოვნების კათედრამ (ხელმძღვანელი **ნარგიზ ოთხმეზური**).

**დალი ჭიბვილი**  
№12 საჯარო სკოლის პედაგოგი

## სწავლა უფრო მოტივირებული რომ გახდეს

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ხონის მე-4 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მაია ჯანელიძე**) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, **მაია ბოკუჩავას** ინიციატივით, ჩამოყალიბდა „ურნალისტური სტუდია „ჩვენი სამყარო“, სადაც, ძირითადად, VII-კლასელები მუშაობდნენ, ქმნიდნენ სიუჟეტებს მათთვის საინტერესო თემებზე, აცნობდნენ თანასკოლელებს მათი ნარმატებების შესახებ და ვიდეოგადაღების შემდეგ ამ ყველაფერს, სასკოლო მასშტაბით, პროექტორით უკეთებდნენ პრეზენტაციას. მუშაობა ძალიან შთა-

ბეჭდავი ფორმატით მიმდინარეობდა. ერთ დღეს მაია მასწავლებელს კლასმა გაუმხილა ოცნება – სურდათ ეხილათ, როგორ მუშაობენ ნარმატებელი ურნალისტები და პროფესიული სტუდიები. მაია მასწავლებელმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წერილი მისწერა. მივიღეთ კოორდინატები და აი, ნანატრი დღეც დადგა. **მაია ბოკუჩავას**, „რუსთავი 2“-ის ტურმენჯერის, **თამარ ცხადაიასა** და ოფისმენეჯერის, **ქეთი ბერელიძის** ძალისხმევით, ორჯერ მოხერხდა ტელეკომპანიაში სტუმრობის ორგანიზება.

დაუეცნარი იყო „კურიერის“ ურნალისტებთან შეხვედრა. მოსწავლეებმა პირდაპირ ეთერში უყურეს „კურიერის“ მსვლელობის პროცესს. დაათვალიერეს სტუდიები, სამონტაჟოები, საეთეროები. უშუალოდ გაეცნენ ყველა იმ „საიდუმლოებას“, ინფორმაციის ტელეთერში გასვლას რომ სჭირდება. შეხვედრენ საყვარელ ურნალისტებს: **ქეთი კვაჭანტირაძეს**, **ნათია ბანძელაძეს**, **ნინო გაზდელიანს**, **გიორგი ქორქიას**. ტელეკომპანიისაგან სამახსოვრო საჩუქრებიც მიიღეს. VII კლასის მოსწავლეები თხზულებაში „ჩემი ერთი დღე რუს-

თავი 2-ში“ წერდნენ: „მასწავლებლო, გპირდებით, რომ მომავლიდან უფრო ვიბეჯითებთ, რათა მიზანს მივაღწიოთ და გავხდეთ ნარმატებელი ურნალისტები.“ უკვე რამდენი ხანია, სკოლაში დებატების კლუბი და ლიტერატურული სასამართლოს დარბაზი ფუნქციონირებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის უფროსი, **ნანა ვასაძის** მონვევით, სკოლის საუკეთესო მოსწავლეთა ჯგუფი უზენაეს სასამართლოს ეწვია. შენობის დათვალიერების შემდეგ მოეწყო შეხვედრა უზენაესი

საბჭოს თავმჯდომარე **კოტე კუბლაშვილთან**, რომელმაც ორ საათზე მეტი დრო დაუთმო მოსწავლეებთან შეხვედრას და პირდაპირი დიალოგის რეჟიმში პასუხობდა მათ შეკითხვებს. ვფიქრობთ, მოსწავლეთა შეხვედრები ასეთი მაღალი რანგის პირებთან, ნარმატებულ კომპანიებთან, კიდევ უფრო მოტივირებულს გახდის სწავლის პროცესს და სკოლის ცხოვრებაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

**ნაილი ცუხიშვილი**  
ხონის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

# გმირის ხსოვნას მიძღვნა



საქართველოსთვის ტკივილიანი იყო 2008 წლის აგვისტო. ომი, რომელმაც მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათ შორის ერთ-ერთი, გმირულად დაღუპული, 22 წლის ახალგაზრდა, **ალიკა (არტემ) ბალახაშვილი**, რომელიც სოფელ უდის პირველი საჯარო სკო-

ლის კედლებში აღიზარდა, მამა, **გურამ ბალახაშვილი**, ამავე სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელია.

2009 წლის 19 მაისს, უდის პირველი საჯარო სკოლის (დირექტორი - **რუსუდან გზირიშვილი**) ღია სპორტულ მოედანზე გაიმართა, შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, 10-დან 14 წლამდე ასაკის ვაჟებში. შეჯიბრების ორგანიზატორი და სპონსორი 11 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში, ცხინვალთან, სოფელ ბრონლეთში გმირულად დაღუპული ალიკა (არტემ) ბალახაშვილის მამა, გურამ ბალახაშვილია, რომელმაც ტურნირი შვილის ხსოვნას მიუძღვნა და პრიზად მისი სახელობის გარდამავალი თასი დაანება.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: ბენარის, არლის, ენთელის, ბოლახურის, უდის პირველი და მეორე საჯარო სკოლები. თამაში საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. აქტიურობით გამოირჩეოდა უდის პირველი საჯარო სკოლის გუნდი „ალიკა“ (კაპიტანი - **გიორგი სარაშვილი**). მონაწილე იყვნენ სტუმრები მუნიციპალიტეტის გამგეობიდან და რეგიონიდან. მათ თანადგომა გამოხატეს შვილმკვდარი მამისადმი და დახმარება აღუთქვეს მას. თბილი სიტყვები არ დაიშურეს მო-

თამაშების მიმართაც.

**ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:**

I ადგილი - უდის პირველი საჯარო სკოლა;

II ადგილი - ენთელის საჯარო სკოლა;

III ადგილი - არლის საჯარო სკოლა.

პირველ ადგილზე გასულ გუნდს გარდამავალი თასი გადასცა სკოლის დირექტორმა, რუსუდან გზირიშვილმა. ასევე დაჯილდოვდნენ II-III ადგილზე გასული გუნდებიც. ყურბიმ გამოავლინა, აგრეთვე, საუკეთესო ფეხბურთელი - **კობა კობახიძე** (ენთელის საჯარო სკოლა); საუკეთესო მცველი - **ლაშა თათოშვილი** (უდის პირველი საჯარო სკოლა); საუკეთესო ბომბარდირი - **სტეფანე ტატალაშვილი** (არლის საჯარო სკოლა).

ბატონმა გურამმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებს, გულმემატიკურებს, მასწავლებლებს აქტიურობისა და ყურადღებისათვის. 13 წლის **ივანე სარაშვილი** (გუნდ „ალიკას“ წევრი) სიხარულს ვერ მალავდა, რომ თასი მათ დარჩათ. ალიკა ბალახაშვილი ხომ მისი ბიძაშვილი იყო.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა გუნდ „ალიკას“ მცარე **ზურაბ ზაზაშვილი** (13 წლის), რომელიც საუ-



კეთესო მეკარის სიგელით დაჯილდოვდა. „საკმაოდ დაძაბული ვიყავი ფინალში, მინდოდა, ჩემს გუნდს გაემარჯვა. ვფიქრობ, იმედები გაემაართლე, ორი ბურთის მეტი არ გამიშვია კარში“ - დასძინა თამაშის ბოლოს გახარებულმა.

„ამიერიდან ეს შეჯიბრება ტრადიციად იქცევა და ყოველ გაზაფხულს გაიმართება. თუ რომელიმე სკოლა ზედიზედ სამჯერ მოიპოვებს თასს, იგი მას დარჩება და მე ახალს შევიძენ“ - აღნიშნა გურამ ბალახაშვილმა.

ვფიქრობთ, ასეთი ღონისძიებებით ხელს შეუწყობთ ალიკა ბალახაშვილის სახელის უკვადაყოფას და ცოტათი მაინც შევესწრებებით მშობლებს შვილის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს. მათი შვილი ხომ ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის ღირსეული მაგალითია...

**სოფიო ოგოლაშვილი**

უდის პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე კლასგარეშე მუშაობის დარგში

# სახელოვან კომენტატორთა თასის მოსაპოვებლად

თბილისის 57-ე საჯარო სკოლის დირექტორის, **სოსო ხუციშვილის** ინიციატივით, 27 მაისს, დაიწყო გამორჩენილი მსახიობების, რადიო და ტელეკომენტატორების - ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში.

ყველას ახსოვს 1964 წელი. ტამკენტიდან ეროსისა და კოტეს მიჰყავდათ დაუფინწყარი მატჩის რეპორტაჟი, სადაც თბილისის „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედო“ 4:1 დაამარცხა. იმ დღეს ჩვენი „ოქროს ბიჭები“ თავიანთი ომბახიანი ხმით შეამკეს ეროსიმ და კოტემ.

1981 წლის 13 მაისი - კიდევ ერთი დაუფინწყარი დღე. თბილისის „დინამომ“ გერმანიის „კარლცაის“ 2:1 დაამარცხა. რეპორტაჟი დიუსელდორფიდან კოტე მახარაძეს მიჰყავდა.

გადავწყვიტეთ, მოგვენყო კინოსა და თეატრის ორი დიდი მსახიობის, რადიო და ტელეკომენტატორების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში. ბატონები **რეზი ბალახაძე** და **სოსო გოგტიშვილი** (ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის დისშვილები) ჩემი დიდი ხნის მეგობრები არიან. სწორედ მათი ხელშეწყობით განხორციელდა ჩვენი ჩანაფიქრი.

ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში - 1998-1999 და 2000-2001 ჩატარდა. მონაწილეობდა 16 გუნდი. ფინალური შეხვედრები ბავშვთა დღეს - 1 ივნისს გაიმართა. ფინალში თამაშის უფლება 2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის, 57-ე საჯარო სკოლის ნორჩმა „დინამომ“ და სენტ-გეზიუპერის სახელობის ფრანგული სკოლის გუნდებმა მოიპოვეს. გამარჯვება 57-ე სკოლას ხვდა წილად - 6:2. 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის, ფინალში გავიდნენ 57-ე საჯარო სკოლის ნორჩი „დინამომ“ და კასპის რაიონის სოფელ ფერმის გუნდი. 57-ე სკოლამ გაიმარჯვა 9:2.

სოფელ ფერმის ნორჩ ფეხბურთელებს ოცნებად ჰქონდათ თბილისში გამართულ ტურნირში მონაწილეობა. 57-ე საჯარო და სოფელ ფერმის სკოლების დირექტორების



1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის გამარჯვებული გუნდი



2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის გამარჯვებული გუნდი



კასპის რაიონის სოფელ ფერმის გუნდი

- იოსებ ხუციშვილისა და შახალი ისმაილოვის ძალისხმევით მათი ოცნება ასრულდა. გუნდმა ფინალში თამაშის უფლებაც კი მოიპოვა.

**პრიზები გადაეცა:**

2000-2001 წლებში დაბადებულებს:

1. საუკეთესო მეკარე - **ზურაბ ხეთაგური**, 57-ე სკოლა;

2. საუკეთესო ბომბარდირი - **ანდრო ადეიშვილი** (17 ბურთი), სენტ-გეზიუპერის სახელობის ფრანგული სკოლა;

3. საუკეთესო ფეხბურთელი - **დათო ლორთქიფანიძე**, 57-ე სკოლა;

4. საუკეთესო ტექნიკური ფეხბურთელი - **ნიკა ძებნიაური**, 57-ე სკოლა.

1998-1999 წლებში დაბადებულებს:

1. საუკეთესო მეკარე - **ანდრეი თურვანიშვილი**, 57-ე სკოლა;

2. საუკეთესო ბომბარდირი - **ფაზილ რამაზ-ოღლი**, კასპის რაიონის სოფელ ფერმის სკოლა;

3. საუკეთესო ფეხბურთელი - **სანდრო კეჭერაშვილი**, 57-ე სკოლა.

შემოდგომაზე გადანწყვეტილი გვაქვს სხვა სახელგანთქმული ფეხბურთელების სახელობის ტურნირების გამართვა.

უახლოეს მომავალში 57-ე საჯარო სკოლის ნორჩი „დინამომ“ სურამში გამგზავრება შეკრებაზე, გამართავს ამხანაგურ შეხვედრებს სხვადასხვა საფეხბურთო გუნდებთან და შემოდგომაზე ჩასატარებელი ტურნირებისთვის აქტიურად მოემზადება.

**მასტანბ ბაძანიძე**

თბილისის 57-ე საჯარო სკოლის ესთეტიკისა და სპორტის კათედრის გამგე, ტურნირის ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი

**P.S.** სამტრედიის ცენტრალურ სტადიონს ეროსი მანჯგალაძის სახელი მიენიჭა. ახლო მომავალში, ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონს კოტე მახარაძის სახელი მიენიჭება.

# პატარა ფერია



11 წლის **გაბრიელა (გაბი) ხედელიძე** ერთი იმ ახალგაზრდათაგანია, რომელიც სპეციალისტებს ქართული ტანვარჯიშის მომავლად ესახებათ. ის მხოლოდ ახლა იწყებს კარიერას და იქნებ, დიდი ტურნირში მოიპოვებ ვერცხლის მედალი - ბუდაპეშტსა და დენპროპეტროვსკში, „ვარსკვლავები-2008“-ზე. საერთაშორისო ასპარეზზე, ჯერჯერობით, ყველაზე დიდ წარმატებას გაბიმ ახლახან პოლონეთში მიაღწია, „ირინას თასზე“, სადაც ციბრუტივით იტრიალა და პირველობა არავის დაუთმო. მას რესპუბლიკურ ტურნირებშიც არაერთი ჯილდო მოუპოვებია, სადაც თავის ასაკში ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია. ცხადია, მისი მედლების უმეტესობა ჯერ შიდა ტურნირებზე მოდის, მაგრამ ეჭვიც არ გვაპარება, რომ თბილისის 105-ე სკოლის V კლასის მოსწავლე, მომავალში, უცხოეთში უმნიშვნელოვანეს ტურნირებზეც არაერთხელ ასახელებს საქართველოს.


**ირაკლი თაყაიძე**

გამომცემლობა  
www.bunbaprint.ge

# ბუნება პრინტი



ტელ: 32 64 96; 53 74 78



## ბუნებისმცოდნეობა 1

თამარ გეგეჭკორი  
ნანა ბარნაველი

### მოკლე ინფორმაცია

144 აკადემიური საათი:

- 6 აკად. საათი - სარეზერვო
- 138 აკად. საათი - 25 თავი

ესგ 50 კრიტერიუმიდან  
„ბუნებისმცოდნეობა 1“  
სრულად აკმაყოფილებს  
48 კრიტერიუმს



## ბუნებისმცოდნეობა 2

ნანა ბარნაველი  
თამარ გეგეჭკორი


## ბუნებისმცოდნეობა 2

თამარ გეგეჭკორი  
ნანა ბარნაველი

### მოკლე ინფორმაცია

144 აკადემიური საათი:

- 16 აკად. საათი - სარეზერვო
  - 128 აკად. საათი - 14 თავი:
- შეავსებელი გაკვეთილი - 19  
ტესტი - 19



## ბუნებისმცოდნეობა 3

ნანა ბარნაველი  
თამარ გეგეჭკორი

## ბუნებისმცოდნეობა 3

თამარ გეგეჭკორი  
ნანა ბარნაველი

### მოკლე ინფორმაცია

144 აკადემიური საათი:

- 14 აკად. საათი - სარეზერვო
  - 130 აკად. საათი - 15 თავი:
- შეავსებელი გაკვეთილი - 15  
ტესტი - 15



## ბუნებისმცოდნეობა 4

თამარ გეგეჭკორი  
ნანა ბარნაველი

## ბუნებისმცოდნეობა 4

თამარ გეგეჭკორი  
ნანა ბარნაველი

### სტანდარტი: ბუნ IV. 1 - ბუნ IV. 12

144 აკადემიური საათი:

- 10 აკად. საათი - სარეზერვო
  - 134 აკად. საათი - 13 თავი:
- შეავსებელი გაკვეთილი - 13  
ტესტი - 13

- სახელმძღვანელოების კომპლექტები სარეზერვოდ
- 15% ფასდაკლება მე-2,3,4,7,8,9,10 კლასების სახელმძღვანელოებზე, საბუნებისმეტყველო ლექსიკონებზე
- წიგნების სკოლაში მიტანა
- განვადება 2 თვე
- 20% ფასდაკლება მთაწმინდის პარკში



რაკომენდაცია ავტორებს სახელმძღვანელოების შერჩევასთან დაკავშირებით:  
I, IV და X კლასის ყველა სახელმძღვანელო 2009 წელს შეფასდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა 50 კრიტერიუმის მიხედვით.  
სახელმძღვანელოების შერჩევის პროცესში ისარგებლეთ ესგ მიერ გამოქვეყნებული შეფასებებით.

მთავარი რედაქტორი:  
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.  
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru  
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096  
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

რედაქციის რეკვიზიტები:  
საპარტოველოს ბანკი  
ბ/კ 220101502,  
ს/კ 202058735,  
ა/ა 123631000